



#2-076

30.11.11

შპს "ნუგეში"

მის: აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ

მოგმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს მიერ ორგანიზებულ "სურსათის ცხელ ხაზზე" (ტელეფონი: 219-42-42, ან სპეციალური საჩივრის ფორმის შევსება ფეისბუქის <http://www.facebook.com/momxmarebeli.ge> გვერდზე, ან კომენტარის განთავსება ვებ-პორტალზე www.momxmarebeli.ge) ა.წ. 9 ნოემბერს შემოვიდა საჩივარი, რომელშიც მომხმარებელი გვატყობინებდა, რომ ვაზისუბანში (მე-3 მკ/რ-ნი) მდებარე "ნუგეშის" ჯიხურში შეიძინა "ეკო-ფუდის" კარაქი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ვარგისიანობის ვადა გასული არ ჰქონდა, გაფუჭებული აღმოჩნდა (ინტერვიუ მომხმარებელთან შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.momxmarebeli.ge).

საჩივრის გადამოწმების მიზნით 10 ნოემბერს მითითებულ მაღაზიაში ჩვენ შევიძინეთ "ეკო-ფუდის" კარაქი და შესამოწმებლად ლაბორატორიას ჩავაბარეთ. ლაბორატორიული დასკვნის მიხედვით პროდუქტის მახასიათებლები (ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და მქავეური რიცხვი) კარაქს არ შეესაბამება (იხ. დანართი).

ამავე დროს, პროდუქტის ეტიკეტის შესწავლისას ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ პროდუქტის ეტიკეტირების დადგენილი მოთხოვნები დარღვეულია. კერძოდ:

- პროდუქტის ეტიკეტზე არ არის მითითებული მისი დამზადების თარიღი, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის N 2-231 ბრძანებით დამტკიცებული "დამატებითი მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი" მუხლი 4, პუნქტი "ეა"-ს მიხედვით "სავალდებულოა სურსათის ეტიკეტზე დამზადების თარიღის – რიცხვი, თვე და წელის აღნიშვნა";
- პროდუქტის დასახელებას შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი პროდუქტის ბუნებასა და იდენტურობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა

www.momxmarebeli.ge

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



დარღვევას. კერძოდ, ეტიკეტზე მითითებული შემცველობის მიხედვით 100 გრამი პროდუქტი შეიცავს 55 გრამ ნაღების კარაქს და 20 გრამ მცენარეულ ცხიმს. ასეთი პროდუქტი არ წარმოადგენს კარაქს საქართველოს ეროვნული სტანდარტის მიხედვით. აღნიშნული პროდუქტი აგრეთვე არ არის კარაქი "ჯორჯიან-ეკოსთვის" 2006 წელს დამტკიცებული მეწარმე სუბიექტის სტანდარტის მიხედვით - თავისი შემცველობით იგი "კომბინირებული კარაქია". შეგახსენებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის N 2-231 ბრძანებით დამტკიცებული "დამატებითი მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებისადმი" მუხლი 4, პუნქტი "ა"-ს მიხედვით "სურსათის ეტიკეტზე განთავსებული... სურსათის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ სტანდარტს, იყოს კონკრეტული და მიანიშნებდეს სურსათის ნამდვილ ბუნებაზე". აღნიშნული პროდუქტის ნამდვილი ბუნება კი არის "კომბინირებული კარაქი". პროდუქტის დასახელებად "კარაქის" გამოყენებას შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი პროდუქტის ბუნებასა და იდენტურობასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ პასუხისმგებლობა სავაჭრო პუნქტის ფარგლებში ეტიკეტირების მოთხოვნების დაცვაზე ეკისრება სურსათის დისტრიბუტორს. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის N 2-231 ბრძანებით დამტკიცებული "სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების" მე-10 მუხლის მიხედვით:

"სურსათის მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია თავისი საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოს სურსათის ეტიკეტირების შესაბამისობა ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან."

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ არ მიიღოთ რეალიზაციაში საქონელი, თუკი:

- მის შეფუთვაზე ან ეტიკეტზე არ არის მითითებული გამოშვების თარიღი.
- მის დასახელებას მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებ-პორტალზე www.moxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ბიზნეს-ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ვებ-პორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ვებ-ლინკები _ ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად, იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;
- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ სურსათის ცხელ ხაზზე (219-42-42) და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მიერ მითითებულ მალაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. (გთხოვთ გაითვალისწინოთ, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ რამდენჯერმე გადამოწმდება, რა თქმა უნდა მოულოდნელად)

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებ-პორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (<http://www.facebook.com/momxmarebeli.ge>) კომენტირებით, ან სურსათის ცხელ ხაზზე (219-42-42) დარეკვით (სურსათის ცხელ ხაზზე შემოსული ყველა ზარი აღირიცხება და ყველა საუბარი იწერება).

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის უვნებლობის სააგენტოს.

პატივისცემით

ლია თოდუა 

პროექტის დირექტორი

პროექტი: " სასურსათო პროდუქტებს მომხმარებლები აკონტროლებენ"
(პროექტს აფინანსებს "ევრაზიის თანამშრომლობის ფორდი")

დანართები:

- პროდუქტების შექმნის ქვითრის და პროდუქტის ფოტო
- პროდუქტის ეტიკეტის ფოტო
- ლაბორატორიული დასკვნის ასლი